დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი
08.11.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
03.12. 2022

თბილისი

შინაარსი

I. 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვთისო მამისიმედიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ევროპის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Education Program of Georgian Language Preparation
უმაღლესი განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 03.07.2017-ის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N34
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე (აფხაზურად/აზერბაიჯანულად/ სომხურად/ოსურად) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე სტუდენტთა მიღების შესახებ შესაბამისი წესის პირობების დაკმაყოფილება. აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ეროვნულ

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

	გამოცდებს, ვალდებულნი არიან წარმატებით გაიარონ ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში, გაიარონ სამედიცინო შემოწმება, ფსიქოლოგიური შერჩევა და წარმოადგინონ ყველა მოთხოვნილი საბუთი განსაზღვრულ ვადაში. სტუდენტისათვის შესაბამისი ბლოკის შერჩევა ხორციელდება პირველი სემესტრის დასაწყისში გავლილი პრეტესტის შედეგების საფუძველზე.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

სსიპ დავით აღმაშენებლის სახლობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან. აკადემიის ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის ძალები და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. აკადემია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას და სურვილი აქვთ ისწავლონ აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, სთავაზობს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2017 წელს 03.07.2017-ის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N34.

ხელახალი აკრედიტაციისათვის გადამუშავდა პროგრამა და მოერგო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელს (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2 და ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას. საქართველოს მთავრობის #394 დადგენილება 30. 06. 2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 1 22 0001338007 (21/10/2022) თანახმად, 2021 წლის რვა ნოემბერს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, ნინო პატარაია. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

დასასრულს აკადემიის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა
  - პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

  - რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლის მიხედვით მოხდეს სტუდენტების გადანაწილება მეორე სემესტრში დარგობრივი მიმართულებების მიხედვით.
  - რეკომენდებულია, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდეს დარგობრივი კურსები, რომელიც შეესაბამება აკადემიის საბაკალავრო პროგრამას.
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა დაემყაროს პროგრამის საჭიროებებს და მოხდეს სხვა საფეხურისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განკუთვნილი ლიტერატურის ამოღება სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვლიდან.

  - სამომავლოდ, მით უფრო, თუ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სტაბილურად გაიზრდება იუნკერთა რაოდენობა, მოხდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის დროს.

  -

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია, სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიამ განახორციელოს პროგრამის პოპულარიზაცია სამიზნე აუდიტორიაში.

  - პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, სწავლების შემდეგ საფეხურზე, ბაკალავრიატში დაემატოს ქართული ენის არჩევითი კურსები ქართული ენა 1 და ქართული ენა 2.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მიზანი შეესაბამება თავდაცვის აკადემიის მისიას და სტრატეგიულ გეგმას, რომელიც გაზიარებულია აკადემიის საზოგადოების მიერ და საჯაროდ ხელმისაწვდომია. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამის მიზანი ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის იგი მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
პროგრამის მიზანია: არაქართულენოვანი იუნკერისთვის ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა B2 დონეზე; კურსდამთავრებულებმა შეძლონ წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე, სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); გამოუმუშავდეთ ლექსიკური მარაგის, სწორი მორფოლოგიური ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით წინადადებების აგების უნარი, სიტუაციის (კონტექსტის) შესაბამისად ენობრივი ფორმების გამოყენების უნარი, ტექსტის გაგების, კონსტრუირებისა და ინტერპრეტირებისათვის სათანადო სტრატეგიების გამოყენების უნარი, ქართული ენის გამოყენებით ქართულ გარემოში ორიენტირების უნარი და შეძლონ ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად; როგორც სახელმწიფო ენის სწავლება, ასევე არაქართულენოვანი იუნკერებისთვის თავდაცვის ძალებში ქვეყნის ერთგული და ღირსეული სამსახურისთვის ხელშეწყობა.

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება აკადემიის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და ძირითადად შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს

(ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2; ასევე, პროგრამა შეესაბამება ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას. საქართველოს მთავრობის #394 დადგენილება 30. 06. 2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0 რომლის მიხედვითაც, ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა სავალდებულოა ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- აკადემიის მისია;
- აკადემიის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- აკადემიის ვებგვერდი;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2;
- ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა. საქართველოს მთავრობის #394 დადგენილება 30. 06. 2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია, სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიამ განახორციელოს პროგრამის პოპულარიზაცია სამიზნე აუდიტორიაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სწავლის შედეგები ძირითად შემთხვევაში ლოგიკურად არის დაკავშირებული. სწავლის შედეგებში მოიაზრება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგებში განსაზღვრულია შემდეგი კომპონენტები: არაქართულენოვანი იუნკერებისათვის ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა B2 დონეზე; კურსდამთავრებულებმა შეძლონ წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე, სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); გამოუმუშავდეთ ლექსიკური მარაგის, სწორი მორფოლოგიური ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით წინადადებების აგების უნარი; სიტუაციის (კონტექსტის) შესაბამისად ენობრივი ფორმების გამოყენების უნარი; ტექსტის გაგების, კონსტრუირებისა და ინტერპრეტირებისათვის სათანადო სტრატეგიების გამოყენების უნარი; ქართული ენის გამოყენებით ქართულ გარემოში ორიენტირების უნარი; როგორც სახელმწიფო ენის სწავლება, ასევე არაქართულენოვანი იუნკერებისთვის თავდაცვის ძალებში ქვეყნის ერთგული და ღირსეული სამსახურისთვის ხელშეწყობა.

პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ქართული ენის სტრუქტურის (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) შესახებ ცოდნა; საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო და სამწყობრო წესდების ტერმინოლოგიის ელემენტების ცოდნა. განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებული აცნობიერებს უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, აგრეთვე კულტურულ მრავალფეროვნებას ქვეყანაში. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ენის სწავლა-სწავლების კომპონენტები: წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი. ისმენს და აანალიზებს მისთვის აქტუალურ თემაზე საჯარო გამოსვლას, ისმენს და იგებს სხვადასხვა ტიპის ტექსტს, არჩევს ძირითადი ენობრივი მახასიათებლებს შესწავლილი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით; იყენებს შესაბამის სტრატეგიებს მოსმენილი ტექსტის შინაარსის უკეთ გასააზრებლად. კითხულობს და იგებს სამხედრო დავალებებათა პირობებს და ინსტრუქციებს, აანალიზებს სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით მხატვრული და არამხატვრული ტექსტის შინაარსს, იყენებს ხმამაღალი კითხვის და სქემატური ჩანაწერების სხვადასხვა ტექნიკას, ტექსტის შესწავლის მიზნით სათანადო

სტრატეგიებს, აანალიზებს ინტერკულტურული თვალსაზრისით ტექსტის შინაარსს. მონაწილეობს ინტერაქციაში წინასწარ მომზადების გარეშე, არგუმენტირებულად მსჯელობს პრობლემურ საკითხებზე, ფუნქციურად იყენებს შესაბამის ენობრივ საშუალებებს, გადმოსცემს ინფორმაციას მოკლედ და თანმიმდევრულად. აგებს წინადადებებს სხვადასხვა ენობრივი კონსტრუქციების მეშვეობით. იყენებს სათანადო სტრატეგიებს სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად. წერს სხვადასხვა ტიპის ტექსტებს სასწავლო ან სამეცნიერო მასალის დამუშავების მიზნით (მხატვრულ ტექსტს, საქმიან დოკუმენტაციას, საანკეტო მონაცემებს, CV-ს და ბიოგრაფიას, არგუმენტირებულ ესეს), იცავს წერილობითი მხატვრული და არამხატვრული ტექსტის სტრუქტურას, იყენებს ეფექტურ სტრატეგიებს ყველა ეტაპზე შედეგის გასაუმჯობესებლად.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურად მიღწევადია და ძირითადად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, დარგობრივ მახასიათებელს და იძლევა საბაკალავარო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ინტერვიურების პროცესში ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის დროს როგორც თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციასთან, ისე პროგრამის კურსდამთავრებულებთან და მოქმედ სტუდენტთან, ჩანს, რომ თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა როგორც უშუალოდ თავდაცვის აკადემიისათვის, ისე, საზოგადოდ, საქართველოში მცხოვრები მულტიეთნიკური საზოგადოების ინტეგრაციისათვის. ამასთან, პროგრამის ბენეფიციარებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აღნიშნული პროგრამა დაეხმარა, სრულფასოვნად ჩართულიყვნენ შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე, ბაკალავრიატში სასწავოლო პროცესში.
აღსანიშნავია ისიც, რომ ხელახალი აკრედიტაციისა და პროგრამის განახლების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც თავდაცვის ეროვნული აკადემიის ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები, იუნკერები და კურსდამთავრებულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნულ წესში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები, სამიზნე ნიშნულები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები.
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღეს: იუნკერებმა; პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალმა; გარე ექსპერტებმა; პროგრამის კურსდამთავრებულებმა.
ეროვნული თავდაცვის აკადემიის განმარტებით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას მოხდა პროგრამის შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება აკადემიის შესაბამისი კომპეტენციის სტრუქტურული ერთეულებისა და აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებული მუშაობით.
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის გაწერილია სამიზნე ნიშნულები. სამიზნე ნიშნულების დადარება ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგებთან. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია ზეპირი და წერილობითი დავალება და გამოცდა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია კურსდამთავრებულების, იუნკერების გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი, შედარება მსგავსი ინსტიტუციების მსგავს პროგრამასთან და სხვა.
ეროვნული თავდაცვის აკადემიის განმარტებით, 2022 წლიდან აკადემიაში სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასებისთვის საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს კირკ-პატრიკის (Kirkpatrick) შეფასების 4 დონიანი მოდელი. აღნიშნული მოდელის დანერგვით აკადემია იზიარებს ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) და ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას. ინტერვიუს დროს აკადემიის ადმინისტრაციამ და ხარისხის მართვის სამსახურმა დეტალურად განგვიმარტა კირკ-პატრიკის (Kirkpatrick) შეფასების 4 დონიანი მოდელის თავისებურებები, მისი მუშაობის პრონციპები, მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შემდგომ ხდება მონაცემების ანალიზი და გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის. პროგრამის გაუმჯობესების კუთხით, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება გარკვეული ცვლილებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების	X	☐	☐	☐

შეფასების მექანიზმი				

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ძირითადად შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2; ასევე, პროგრამა შეესაბამება ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას. საქართველოს მთავრობის #394 დადგენილება 30. 06. 2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას აქვს დაშვების წინაპირობები. პროგრამა შედგება 60 კრედიტისაგან. სწავლის დასაწყისში, პრეტესტის საფუძველზე, იუნკერები გადანაწილებულნი არიან ენობრივი კომპეტენციის დონის შესაბამისად A ან B ბლოკში. A ბლოკი გულისხმობს მეტი საკონტაქტო საათების ოდენობას და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აქტიურ დახმარებას; B არჩევითი ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე იუნკერებზეა გათვლილი (B1 და მეტი).

პირველი სემესტრის სასწავლო კურსებია: ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)-1, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-1, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები, ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1.

მეორე სემესტრში იუნკერები სწავლობენ შემდეგ სასწავლო კურსებს: ფუნქციური წერა, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-2, მრავალფეროვნება და ტოლერანტობა, ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) - 2, ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ აკადემია გასცემს პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს, რის შემდგომაც, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელი განსაზღვრავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად შედგენილობას და სტრუქტურას, რომელთანაც ეროვნული თავდაცვის აკადემიის შესაბამისი პროგრამა ძირითადად თავსებადია, პირველ სემესტრში განსაზღვრულია ქართული ენის სწავლება ენობრივი კომპეტენციების მიხედვით, ასევე, მეორე სემესტრში შეთავაზებულია ინტერკულტურული ასპექტების სწავლებისათვის შესაბამისი სასწავლო კურსი “მრავალფეროვნება და ტოლერანტობა”. ასევე, პროგრამაში გათვალისწინებულია

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების ერთი ელემენტი, სასწავლო კურსი "ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია", თუმცა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნულია, რომ სტუდენტების გადანაწილება მეორე სემესტრში უნდა მოხდეს დარგობრივი მიმართულებების მიხედვით ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2; ასევე, პროგრამა შეესაბამება ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას. საქართველოს მთავრობის #394 დადგენილება 30. 06. 2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლის მიხედვით მოხდეს სტუდენტების გადანაწილება მეორე სემესტრში დარგობრივი მიმართულებების მიხედვით.

- რეკომენდებულია, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდეს დარგობრივი კურსები, რომელიც შეესაბამება აკადემიის საბაკალავრო პროგრამას.

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა შედგება 60 კრედიტისაგან. პროგრამის სასწავლო კურსები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. საჭიროების მიხედვით განსაზღვრულია მეორე სემესტრის სასწავლო კურსების წინაპირობებიც. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები შედგება ძირითადი საგნებისაგან. როგორც უკვე აღინიშნა, (1. 4.), სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტთა გადანაწილება ხდება პრეტესტის საფუძველზე, საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით. პირველ სემესტრში განსაზღვრულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

A ბლოკი (პრეტესტში დამწყები დონე):
ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)-1 - 10 კრედიტი
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-1 - 5 კრედიტი
ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები - 10 კრედიტი
ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 5 კრედიტი
B ბლოკი (პრეტესტში საშუალო დონე):
ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)-1 - 10 კრედიტი
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-1 - 5 კრედიტი
ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები - 10 კრედიტი
ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 5 კრედიტი

მეორე სემესტრში განსაზღვრულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
ფუნქციური წერა - 5 კრედიტი
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-2 - 5 კრედიტი
მრავალფეროვნება და ტოლერანტობა - 5 კრედიტი
ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) - 2 - 5 კრედიტი
ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია - 10 კრედიტი
სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურა უზრუნველყოფს საგნისა და პროგრამის მიზნებით გათვალისწინებულ შედეგებს.
სასწავლო კურსების ნაწილში შეინიშნება სავალდებულო ლიტერატურაში ისეთი სახელმძღვანელოების მითითება, რომელთა ნაწილი განეკუთვნება ბაკალავრიატის საფეხურს, ან რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო პროგრამას.
პროგრამის განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია ქართული ენის არჩევითი კურსების არსებობა შემდეგ საფეხურზე, რათა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს უფრო მდგრადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2; ასევე, პროგრამა შეესაბამება ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას. საქართველოს მთავრობის #394 დადგენილება 30. 06. 2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა დაემყაროს პროგრამის საჭიროებებს და მოხდეს სხვა საფეხურისა და სხვა საგანმანათლებლო

პროგრამებისათვის განკუთვნილი ლიტერატურის ამოღება სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვლიდან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, სწავლების შემდეგ საფეხურზე, ბაკალავრიატში დაემატოს ქართული ენის არჩევითი კურსები ქართული ენა 1 და ქართული ენა 2.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსხვავდება მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობებისაგან, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სპეციფიკიდან. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

1. აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 23 წელი;

2. აბიტურიენტებს, რომლებსაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 473 და 52-ე მუხლის 12 პუნქტის თანახმად, ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვთ მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი ტესტი: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი, ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი, ოსური ტესტი და აფხაზური ენის ტესტი. (საქართველოს მოქალაქეები). ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი). უცხო სახელმწიფოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვა ხორციელდება სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 5-ის და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, აბიტურიენტებმა წარმატებით უნდა გაიარონ ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში, გაიარონ სამედიცინო შემოწმება, ფსიქოლოგიური შერჩევა და წარმოადგინონ ყველა მოთხოვნილი საბუთი განსაზღვრულ ვადაში. შესაბამისად, თავდაცვის ეროვნული აკადემიის კონტიგენტი და, მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბენეფიციარები ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ როგორც დარგობრივი, ისე თავდაცვის აკადემიის სპეციალური წინაპირობები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა ნაწილი ვერ აკმაყოფილებს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სპეციფიკურ მოთხოვნებს ფიზიკურ მომზადებაში, ან სამედიცინო შემოწმებაში.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღბის წინაპირობები გამჭვირვალეა, საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ინფორმაციის საჯაროობა უზრუნველყოფილია და გამოქვეყნებულია აკადემიის ვებ-გვერდზე დაინტერესებული მხარის მიერ შეუფერხებლად წვდომის მიზნით. ამასთან, აკადემიის მიერ ტარდება საზაფხულო სკოლები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სკოლის მოსწავლეები და ეცნობიან აკადემიის სპეციფიკას.

პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ ხდება იუნკერთა ენობრივი კომპეტენციების დონის დადგენა ტესტირების საფუძველზე და სტუდენტთა გადანაწილება შესაბამის ჯგუფებში.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიას განსაზღვრული აქვს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 20 აბიტურიენტის მიღება (საქართველოს თადაცვის მინისტრის 21.03.2022 ბრძანება N422 00000213).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიის ვებგვერდი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 21.03.2022 ბრძანება N422 00000213;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პრაქტიკული კომპონენტი ინტეგრირებულია პროგრამის სასწავლო კურსებში. პროგრამა მიმართულია სამეტყველო უნარების: წერა კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა განვითარებისკენ და უზრუნველყოფს იუნკერთა ჩართვას სემინარზე და პრაქტიკულ კომპონენტზე სწავლის შედეგების შესაბამისად.

ეროვნული თავდაცვის აკადემიას აღწერილი აქვს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პრაქტიკული ასპექტები ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის მიხედვით ენის ფლობის ოთხი ეტაპის: წერის, კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის მიხედვით. კერძოდ, ისმენს და აანალიზებს მისთვის აქტუალურ თემაზე საჯარო გამოსვლას, ისმენს და იგებს სხვადასხვა ტიპის ტექსტს, არჩევს ძირითად ენობრივ მახასიათებლებს შესწავლილი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით; იყენებს შესაბამის სტრატეგიებს მოსმენილი ტექსტის შინაარსის უკეთ გასააზრებლად. კითხულობს და იგებს სამხედრო დავალებათა პირობებს და ინსტრუქციებს, აანალიზებს სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით მხატვრული და არამხატვრული ტექსტის შინაარსს, იყენებს ხმამაღალი კითხვის და სქემატური ჩანაწერების სხვადასხვა ტექნიკას, ტექსტის შესწავლის მიზნით სათანადო სტრატეგიებს, აანალიზებს ინტერკულტურული თვალსაზრისით ტექსტის შინაარსს. მონაწილეობს ინტერაქციაში წინასწარ მომზადების გარეშე, არგუმენტირებულად მსჯელობს პრობლემურ საკითხებზე, ფუნქციურად იყენებს შესაბამის ენობრივ საშუალებებს, გადმოსცემს ინფორმაციას მოკლედ და თანმიმდევრულად. აგებს წინადადებებს სხვადასხვა ენობრივი კონსტრუქციების მეშვეობით. იყენებს სათანადო სტრატეგიებს სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად. წერს სხვადასხვა ტიპის ტექსტებს სასწავლო ან სამეცნიერო მასალის დამუშავების მიზნით (მხატვრულ ტექსტს, საქმიან დოკუმენტაციას, საანკეტო მონაცემებს, CV-ს და ბიოგრაფიას, არგუმენტირებულ ესეს), იცავს წერილობითი მხატვრული და არამხატვრული ტექსტის სტრუქტურას, იყენებს ეფექტურ სტრატეგიებს ყველა ეტაპზე შედეგის გასაუმჯობესებლად.

გარდა აღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერები ცხოვრობენ ეროვნული თავდაცვის აკადემიის კამპუსში სხვა სტუდენტებთან, მათ შორის, ბაკალავრებთან ერთად, აკადემია უზრუნველყოფს ექსტრაკურიკულარულ და დამატებით სტუდენტურ აქტივობებს, როგორებიც არის სპორტული წრეები, შემოქმედებითი წრეები და სხვა, რაც ეხმარება ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერს ენობრივი ბარიერის ეტაპობრივ დაძლევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

- აკადემიის ვებგვერდი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 21.03.2022 ბრძანება N422 00000213;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლების პროცესში გამოყენებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების, ორგანიზაციების გამოცდილება (DEEP, NATO School Oberamergau) განათლების მეცნიერებებისა და პედაგოგიკის განვითარების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები, რომლებიც ინტეგრირებულია პროგრამის სწავლა-სწავლების კომპონენტში.

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს იუნკერების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, რასაც ინტერვიუს დროს იუნკერებიც აღნიშნავდნენ. პროგრამაში გათვალისწინებულია განმახორციელებელი პერსონალისა და იუნკერების ინტერაქცია.
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, დისკუსია/დებატები, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მეთოდი, თანამშრომლობითი სწავლება, წყვილებში და ჯგუფში მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ტექსტზე მუშაობის მეთოდი, დავალების ჯგუფური და ინდივიდუალური შესრულება/პრეზენტაცია და სხვ.
აკადემიას დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც უზრუნველყოფს იუნკერის განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. გარდა ამისა, აღნიშნული წესის შესაბამისად, აკადემია ახდენს იუნკერთა შენარჩუნების უზრუნველყოფასა და მათი აკადემიური მოუსწრებლობის გამო აკადემიიდან გარიცხვის პრევენციას. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ იუნკერს უფიქსირდება D ან მასზე დაბალი შეფასება, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემთხვევაში, იუნკერთან ინდივიდუალურ მუშაობის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობაა იუნკერების რაოდენობიდან გამომდინარე.
საჭიროებისამებრ, აკადემია იყენებს სინქრონული/ასინქრონულ ელექტრონულ სწავლებას. ელექტრონული სასწავლო პლატფორმა „ILIAS“-ზე ხდება სასწავლო კურსების მიხედვით სასწავლო მასალების ატვირთვა, ყოველკვირეული დავალებების შესრულება და გასწორება. აკადემიას შემუშავებული აქვს ბაკალავრიატის ელექტრონული სწავლების პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქცია, რომელიც საჭიროებისამებრ ადმინისტრირებას უწევს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას.
აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების პროცესის დროს, აკადემიამ იუნკერებს გადასცა ინტერნეტის მეგაბაიტების პაკეტები, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა დისტანციური სწავლების პროცესის უწყვეტობა.
აკადემია, თითოეული იუნკერისთვის გამოყოფს პორტატულ კომპიუტერს, რომელთა ტექნიკურ მომსახურებას და განახლებას უზრუნველყოფს აკადემიის შტაბის G-6 სამსახური. კომპიუტერი აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მათ შორის ოპერაციული სისტემა, საოფისე პროგრამები, pdf პროგრამა, ინტერნეტბრაუზერის უახლესი ვერსიები, ქართული ფონტები, Microsoft teams, Zoom, სპეციალიზირებული პროგრამები სამუშაო საჭიროებებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალური კომპიუტერების გადაცემის საკითხი პროგრამის კურსდამთავრებულთა ინიციატივა იყო, რომელიც მათ გამოტქვეს აკადემიის ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს პროგრამის გასაუმჯობესებელი საკითხების განსაზღვრისას. აკადემიამ დააკმაყოფილა სტუდენტთა მოთხოვნა და ამჟამად ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სტუდენტისათვის გათვალისწინებულია სწავლის დაწყების დროს პერსონალური კომპიუტერის გადაცემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიის ვებგვერდი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 21.03.2022 ბრძანება N422 00000213;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერის ცოდნის შეფასება

ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; აკადემიას დამტკიცებული აქვს გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია.

იუნკრების შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭირვალე და სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ ინფოორმაცია გამოქვეყნებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიის ILIAS-ის სასწავლო პლატფორმაზე. ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აცნობს იუნკრებს აკადემიის მიერ დამტკიცებულ აკადემიური შეფასების კრიტერიუმებს. აკადემიაში ასევე ფუნქციონირებს ე. წ. „ელექტრონული უწყისი“.

შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება აკადემიის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ საგამოცდო ცენტრში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ იუნკერმა უაღრესად მშვიდ და კომფორტულ გარემოში შეძლოს გამოცდის ჩაბარება.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. გათვალისწინებულია იუნკერის საქმიანობის შეფასება შემდეგი სახით: შუალედური შეფასებები და ფინალური გამოცდის შეფასება. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ არის გაწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX (41-50 ქ.) - შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხოლო F შეფასების (მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები) ნიშნავს, რომ იუნკერი ჩაიჭრა. ამის შემდეგ იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

გამოცდის მიმდინარეობისას გადაწერის მცდელობის, კარნახისა ან გამოცდისათვის ხელის შეშლისათვის, პირის გამოცდიდან მოხსნა, ფიქსირდება, როგორც უარყოფითი შედეგი, გამოცდის ან დავალებისათვის განსაზღვრული ქულა განულდება და შეფასება დაფიქსირდება „0“.

შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს იუნკერის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. იუნკერები პერმანენტულად იღებენ უკუკავშირს მასწავლებლებისგან. ეროვნულ თავდაცვით აკადემიაში მოქმედებს იუნკერის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმიც.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს; როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუებიდან ირკვევა, აკადემიაში რეგულარულად

ხდება სწავლის შედეგების შეფასების კვლევა და ანალიზი, რომლის შედეგებიც გამოიყენება სწავლების პროცესისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საჭიროების შემთხვევაში, თავდაცვის აკადემია იუნკერთა შეფასებას უზრუნველყოფს ელექტრონული/დისტანციური მეთოდის გამოყენებით კომპონენტის თავისებურების და შინაარსის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია;
- აკადემიის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები იუნკრებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე თავდაცვის აკადემიას იუნკერთა დიდი ნაკადი არასდროს არ ჰყოლია, რადგან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოქმედებს პროგრამაზე მიღების წინაპირობები: თავდაცვის აკადემიაში სწავლის მსურველები ვალდებული არიან, ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარდა, წარმატებით გაიარონ ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში, სამედიცინო შემოწმება და ფსიქოლოგიური შერჩევა. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა მსურველი ვერ ახერხებს აკადემიის მიერ განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილებას, აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხება იუნკერთა მცირე რაოდენობა (ამჟამად მხოლოდ ერთი იუნკერი).

დაწესებულებას და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს თითოეულ იუნკერთან აქვს ინდივიდუალური მიდგომა. აკადემიაში იუნკერი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სათანადო კონსულტაციას. აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი რეგულარულად ატარებს საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს იუნკრებთან, კერძოდ, აკადემიაში დანერგილი პრაქტიკის თანახმად, იუნკერებს

კონსულტაციას უწევენ როგორც პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ ჩართული პირები, ისე ბატალიონის მმართველობა (ბატალიონის მეთაური, კურსის უფროსი, სასწავლო ჯგუფი უფროსი). ისინი იუნკერებს აწვდიან ინფორმაციას როგორც პროგრამასთან და პროგრამის სასწავლო კომპონენტებთან დაკავშირებით, ისე ნებისმიერი მათთვის საინტერესო საკითხის თაობაზე. პროგრამის შესახებ ინფორმაცია (კატალოგი) განთავსებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიის ვებგვერდზე (www.eta.edu.ge) და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. აკადემიის იუნკერთა საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება როგორც სემესტრის დასაწყისში წინასწარ შემუშავებული გრაფიკით, ასევე ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

აკადემიას აქვს ელექტრონული პორტალი, რომელშიც ატვირთულია ყველა ინფორმაცია იუნკერის აკადემიური საქმიანობისა და მოსწრების შესახებ, სასწავლო რესურსები და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ იუნკრებთან მიმაგრებულია სერჟანტი, რომელსაც შესაძლებელია იუნკერმა მოახსენოს ნებისმიერი პრობლემის შესახებ.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის იუნკრები ჩართული არიან აკადემიის მიერ განხორციელებულ ყველა ღონისძიებაში (გარდა საველე გასვლებისა და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა). აკადემიაში იმართება სპორტული, ხელოვნებისა და შემეცნებითი აქტივობები.

აკადემიაში მოქმედებს დრამატული წრე, მუსიკალური ბრენდი, ქართული და სამეჯლისო ცეკვების წრეები, სპორტული სახეობები: ცურვა, ხელჩართული ბრძოლა, კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, რაგბი, მინიფეხბურთი, ჭიდაობა, კრივი. ტარდება ინტელექტუალური თამაშები. აკადემიის ხელმძღვანელობა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი ყველანაირად უწყობს ხელს იუნკრების კულტურულ, სოციალურ თუ აკადემიურ ინტეგრაციას. აკადემია იუნკრებს უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური მხარდაჭერითაც.

აკადემია ითვალისწინებს ეთნიკურად არაქართველთა დღესასწაულებს და ამ დღეებში, განსხვავებით ქართველი იუნკერებისგან, ეძლევათ შვებულების დღეები. გარდა ამისა, წლის კონკრეტულ მონაკვეთებში, საჭიროებისამებრ, აკადემიის სასადილოში მზადდება სპეციალური საკვები ეთნიკურად არაქართველთათვის.

პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმაც დაადასტურა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს იუნკრებზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, მაღალხარისხიანი

სერვისების შეთავაზებას, ხელს უწყობს იუნკრების მაქსიმალურ ინფორმირებას, აკადემიის შიდა სივრცეში მათ ინტეგრირებას, ასევე ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და იუნკრების ხარისხიან საკონსულტაციო მომსახურებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- იუნკერთა საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- განხორციელებული ღონისძიებები;
- აკადემიის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, იუნკრებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	X	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემის ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში მონაწილეობს ორი მოწვეული პროფესორი. ისინი თავდაცვის აკადემიის ქართული ენის მომზადების პროგრამაში ჩართული არიან მისი დაარსების დღიდან და ამ მიმართულებით ფლობენ საკმაოდ დიდ გამოცდილებას, რაც დადებითად აისახება სწავლის შედეგზეც. ერთ-ერთი მათგანი ფლობდა აკადემიურ თანამდებობას და იყო პროგრამის ხელმძღვანელი. მოწვეული პერსონალის ეს რაოდენობა საკმარისია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ჩასატარებლად, რადგან აღნიშნულ პროგრამაზე არის სტუდენტთა (იუნკერთა) მეტად მცირე ნაკადი. ქართულ ენაში

მომზადების პროგრამაზე იუნკერთა ასეთი მცირე რაოდენობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თავდაცვის აკადემიაში სწავლის მსურველებს, ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარდა, უწევთ დამატებითი ტესტირების გავლა ფიზიკურ მომზადებაში, აგრეთვე სამედიცინო შემოწმება და ფსიქოლოგიური შერჩევა, რომლებსაც წარმატებით გადის მსურველთა მხოლოდ მცირე ნაწილი. ამჟამად სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ირიცხება მხოლოდ ერთი იუნკერი. აღნიშნული გარემოებიდან და თავდაცვის აკადემიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სასწავლო კურსებს ამჟამად უძღვება მხოლოდ მოწვეული პერსონალი, რომელთა კვალიფიკაციაც შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან; მათი კვალიფიკაცია ასევე დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამას გააჩნია მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელშიც, ასევე, გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები;

ქართულ ენაში მომზადების პროგრამას ამჟამად ხელმძღვანელობას უწევს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილების უფროსი, რომელსაც აქვს მაგისტრთან გათანაბრებული ინგლისური და ფრანგული ენების სპეციალობის კვალიფიკაცია. ის არ ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს და ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გამოცდილებას. სამომავლოდ, მით უფრო, თუ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სტაბილურად გაიზრდება იუნკერთა რაოდენობა, მოხდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის დროს.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი	1			1
- ასოცირებული პროფესორი				
- ასისტენტ-პროფესორი				

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	2	2	2	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- სამომავლოდ, მით უფრო, თუ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სტაბილურად გაიზრდება იუნკერთა რაოდენობა, მოხდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის დროს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☐	X	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

არ ფასდება

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	X	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ეროვნული თავდაცვის აკადემია რეგულარულად ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. პერსონალს და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს აფასებს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტი. უსდ-ის შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების მიზნით და სემესტრის ბოლოს სტუდენტი ანონიმურად ავსებს კითხვარს, რომლის მონაცემების გაანალიზებას ახდენს უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შეფასების შედეგები მუშავდება, დგება ანალიზის დოკუმენტები, რეკომენდაციები და ხდება რეაგირება ძლიერი მხარეების განსამტკიცებლად და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. თავდაცვის აკადემაში, მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართული პირების პროფესიული განვითარების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ურთიერთდასწრებისა და საუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა და კოლეგიალური დასწრების პრაქტიკა, რომლის მიზანია პედაგოგებს შორის იდეებისა და გამოცდილებების გაზიარება. აღნიშნულ აქტივობებს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში წინასწარ შემუშავებული გრაფიკით უწყვეტად ტარდება ტრენინგები და სემინარები, რომლებიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. პროგრამაში ჩართულ პერსონალს გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, მათ შორის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ხარისხის სამახურის

მიერ ჩატარებული ტრენინგი: „ეფექტური სწავლება“, ტრენინგი „პლაგიატის აღმოფხვრის შესახებ“ და სხვ.

პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, აქვეყნებს სტატიებსა და პუბლიკაციებს.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა: მატერიალური, ფინანსური რესურსი და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები: ტრენინგები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიული და სწავლების უნარის განვითარებას;
- პროგრამაში ჩართულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის ექსპერტებს საშუალება მოგვეცა ადგილზე დაგვეთვალიერებინა სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც ხორციელდება ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. პროგრამის მიზნების განსახორციელებლად თავდაცვის აკადემიას აქვს ყველა საჭირო რესურსი, მათ შორის, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები; დავით აღმაშენებელის, ერეკლე მეფისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის სასწავლო-საკონფერენციო დარბაზები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ცენტრები, საცხოვრებლები, სიმულაციური ცენტრები, სპორტული და სატრენაჟორო დარბაზები, რეკრეაციული ცენტრი, სასადილო, ლაზარეთი და სხვ.

ეროვნული თავდაცვის აკადემია ზრუნავს პროგრამის საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე; ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად ატარებს მონიტორინგს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობასთან დაკავშირებით.

აკადემიის ყველა იუნკერს, სწავლის დაწყებისას, გადაეცემა მონაცემთა ელექტრონული მატარებლზე ჩაწერილი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. აკადემია რეგულარულად მუშაობს ბიბლიოთეკის განვითარების ღონისძიებებზე. განსაკუთრებით საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის თვალსაზრისით. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია კვალიფიციური პერსონალი, რომელმაც გაიარა გადამზადება ბრიტანეთის თავდაცვის აკადემიის ექსპერტის მიერ.

ბიბლიოთეკაში არის რამდენიმე დარბაზი და ოთახი, სადაც შექმნილია მაქსიმალური პირობები ლიტერატურის გასაცნობად, სასწავლო დავალების მოსამზადებლად. ბიბლიოთეკის დარბაზში დამონტაჟებულია კომპიუტერები, პრინტერები და სკანერები, რაც საშუალებას აძლევს იუნკრებს, ამობეჭდონ სასურველი მასალა ან გადაიღონ ასლები, მოამზადონ პრეზენტაციები. მატერიალურ, ლაბორატორიულ, საინფორმაციო და ციფრულ რესურსებს აქტიურად იყენებენ იუნკრები; იუნკერთა სასწავლო და საოფისე ინვენტარით

მომარაგების ხარჯებს, აგრეთვე აკადემიური და სხვა მომსახურე პერსონალის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
ისინი ინფორმირებული არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ; აკადემიის იუნკერებს უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები ბიბლიოთეკაში მუშაობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დეტალები რეგულირდება დოკუმენტით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ინსტრუქციები“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - ვირტუალური ტური https://eta.edu.ge/360/
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა -ფოტო გალერეა https://www.flickr.com/photos/etageorgia/sets/72157698130371074
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ინსტრუქციები“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 მატერიალური რესურსი	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართული ენის მომზადების პროგრამის შეფასებისას ჩატარებულ ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ ყველა იუნკერის სწავლა აღნიშნულ პროგრამაზე სრულად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დაფინანსება მოიცავს როგორც სასწავლო პროცესში ჩართულობას, ასევე თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ცხოვრების ხარჯებს და ყოველთვიურ სტიპენდიას. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, მასში მოქმედი წესდების მიხედვით, "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით აკადემიისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამტკიცებს აკადემიის ბიუჯეტს.
ამის გათვალისწინებით, პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი ჩაშლილი იყო კლასიფიკატორების შესაბამისად, რომელიც საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება და რომელიც არ იძლევა უფრო დეტალურად ჩაშლის შესაძლებლობას.

ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა სტაბილურია და პასუხობს პროგრამის უწყვეტად განხორციელებასა და მდგრადობას.

წარმოდგენილი იყო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროებიც. ბიუჯეტი მოიცავს როგორც ადამიანური რესურსების შრომის ანაზღაურების, ასევე პერსონალის კვალიფიკაციის

ასამაღლებელ ღონისძიებათა დაფინანსებას, მატერიალური და სასწავლო რესურსების მართვის, მოვლის და განახლების ხარჯებს, ასევე მოთხოვნებს სასწავლო და ტექნიკური ლიტერატურის და აღჭურვილობის შესაძენად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ"კანონი;
- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდება;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარების პროცესში, რომელიც თანამშრომლობით ხასიათს ატარებს და რომელშიც თანაბრად მონაწილეობს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე თავად სტუდენტი და პროგრამის კურსდამთავრებულები. ყოველივე ზემოთაღნიშნული გამოიკვეთა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერმანენტულად ტარდება კვლევები, რომელთა ანალიზის შედეგებიც წარმოდგენილი იყო თანდართული დოკუმენტაციის სახით.

საგულისხმოა ისიც, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. შედეგად, პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბრძანებებით, აკადემიის წესდებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვას ინსტიტუცია ატარებს ელქტრონულად, რომლის მეშვეობითაც პროგრამის პერსონალი და სტუდენტები აფასებენ პროგრამას, პროგრამის განხორციელებას, პროგრამის პერსონალს.

წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები სრულად რელევანტურია და ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესრულებული პროცედურებიც არის გამჭვირვალე და თანმიმდევრული.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა პრინციპს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირება“ . უსდ-ში ასევე ფართოდ არის გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ხარისხის სახელმძღვანელო.

ციკლის მიხედვით, არსებული მექანიზმების გამოყენება ხდება შემდგგვარად:

I. დაგეგმე - პროგრამის გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს. განისაზღვრება შესაბამისი ვადები/პერიოდი აღნიშნულის განსახორციელებლად.

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

II. განახორციელე - პროგრამების სრულყოფის მიზნით ხდება დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებს და მოლოდინებს შესწავლა. წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტები ცხადყოფს ამ პროცესის მიმდინარეობის ნამდვილობას. ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ამ კუთხით.

ინსტიტუცია აქტიურად იყენებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს.

III. შეამოწმე - აკადემიას დადგენილი აქვს შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები, პროცედურები, პერიოდულობა და ისიც თუ როგორ ხდება შემოწმების შედეგების განხილვა.
IV. მოახდინე რეაგირება - ციკლის ამ ეტაპზე ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და შემდგომი რეაგირება.
წარმოდგენილ დოკუმენტებშიც გამოიკვეთა და ინტერვიუების პროცესშიც დადასტურდა, რომ გამოკითხვების ანალიზის შემდეგ, შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, ხდება გასატარებელი ღონისძიებების ჩამოყალიბება და მათი შესრულების ვადების განსაზღვრა.
უნდა ითქვას, რომ იკვრება მთელი ციკლი დაგეგმვის პროცესიდან დაწყებული, მის საბოლოო ეტაპამდე.
ყველა შესწავლილი ასპექტი და პროცესი არის დოკუმენტირებული ამ მიზნით შემუშავებული ფორმების გამოყენებით, რაც ადასტურებს მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომების არსებობას.
ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც განმახორციელებელი პერსონალი, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელექტრონული სწავლების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „რჩევები ინსტიტუციებისათვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით“ და ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული დოკუმენტით „მოსაზრებები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად“. აღნიშნული რეკომენდაციები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- შეხვედრის ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სახელმძღვანელო დოკუმენტები;

- ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

თავდაცვის ეროვნული აკადემია იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.
ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემთხვევაში, აკადემია გარდა აკრედიტაციის პროცესისა, უზრუნველყოფს გარე ექსპერტის პროგრამის შეფასებაში ჩართულობას.
დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ გარე შემფასებელთა (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა) მხრიდან მანამდე გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამის ხელახალ აკრედიტაციაზე მუშაობისა და დახვეწის პროცესში.

განხორციელდა გარე შეფასებაც. გარე შემფასებლის დასკვნით, რომელიც დარგის სპეციალისტია, პროგრამა პასუხობს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, სრულად შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელს. საგანმანათლებლო პროგრამაში თვალნათლივ ჩანს როგორც დასახული მიზანი (მისაღწევი შედეგები), ასევე ამ მიზნის მისაღწევი გზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა;
- გარე შეფასების დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო ;
- ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აკადემიაში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება მოწვეული პერსონალის, იუნკერების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის შეგროვების, მოძიებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. აკადემიაში დადგენილი წესის მიხედვით, პერიოდულად ხორციელდება პროგრამის შეფასება საჭიროებისამებრ მისი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

პროგრამის შეფასება, როგორც უკვე 5.1 ქვესტანდარტის შეფასებისას დეტალურად იქნა განხილული, ხდება სხვადასხვა ინდიკატორის გამოყენებით. ეს თავის მხრივ გულისხმობს კოლეგიალურ შეფასებას, ურთიერთდასწრებას, მონიტორინგს, გამოკითხვებს, პროგრამის ანალიზს, იუნკერთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და ა.შ.

აკადემიის რექტორი, რექტორის მოადგილეები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები პერიოდულად ხვდებიან იუნკერებს. მათი მოსაზრებები პროგრამების გაუმჯობესების მიზნით არაერთხელ იქნა გათვალისწინებული, რაც ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა.

ხარისხის სამსახური ყოველწლიურად აკეთებს ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, მათ ან ცვლის, ან ამატებს უფრო ეფექტურ ინსტრუმენტს. გასულ წლებში არსებული რეალობიდან (პანდემია და ონლაინ რეჟიმზე გადასვლა) გამომდინარე, ხარისხის სამსახურმა დაგეგმა და განახორციელა ონლაინ-პლატფორმის მეშვეობით მნიშვნელოვანი ლექცია/სემინარების ჩატარება. შეიმუშავა შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვადასხვა დოკუმენტები.

ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის განვითარების ყველა შესაბამის ეტაპზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები;

- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- ლექციაზე დაკვირვების ფორმა/შედეგები;
- სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები;
- ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ხვთისო მამისიმედიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პატარაია